სტაციონარული სამედიცინო მომსახურების ხარისხის მონიტორინგის შედეგების შეფასების ინსტრუმენტები

სოფო ჯიმშელაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლაში ჯანდაცვის მენეჯმენტში ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამაგისტრო პროგრამა

ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თენგიზ ვერულავა,

მედიცინის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

განაცხადი

”როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სოფო ჯიმშელიძე

2015 წელი

აბსტრაქტი

შესავალი: სამკურნალო-დიაგნოსტიკური პროცესების ხარისხიანობის მონიტორინგის ეფექტური მეთოდების შემუშავება სამედიცინო დაწესებულებების საქმიანობის ეფექტურობის გაზრდის საშუალებას იძლევა. კვლევის მიზანია სამედიცინო დახმარების ხარისხის მონიტორინგის შედეგების შეფასების სისტემის შესწავლა აკად. გ. ჩაფიძის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრის მაგალითზე. **მეთოდოლოგია:** თვისებრივი კვლევის ფარგლებში განხორციელდა სამედიცინო დახმარების ხარისხის კონტროლის საკითხებზე ამ სფეროს ექსპერტების ჩაღრმავებული ინტერვიუ აკად. გ. ჩაფიძის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრში. **შედეგები, ინტერპრეტაცია:** აკად. გ. ჩაფიძის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრში სამედიცინო დახმარების ხარისხის შესაფასებლად გამოიყენებენ სამედიცინო დახმარების ხარისხის შეფასების მონიტორინგის სქემას, რომელიც საშუალებას იძლევა დავადგინოთ სამედიცინო დახმარების გაწევის პროცესში არსებული პრობლემები, ნაკლოვანებები და შემუშავდეს მათი აღმოფხვრის შესაძლო ვარიანტები. მნიშვნელოვანია, რომ მონიტორინგის სქემა შესაძლებლობას იძლევა შეფასდეს სამედიცინო დახმარების ხარისხის თვისობრივი ნიშნები რაოდენობრივ ექვივალენტში. **რეკომენდაციები:** მიზანშეწონილია აკად. გ. ჩაფიძის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრში სამედიცინო დახმარების ხარისხის მონიტორინგის შედეგების შეფასების სისტემის შესახებ გამოცდილების გაზიარება სამედიცინო დაწესებულებებისათვის მისი დანერგვის მიზნით. მონიტორინგის მონაცემების დიდი მოცულობის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია კომპიუტერული პროგრამის გამოყენება. სამედიცინო დახმარების ხარისხის მონიტორინგის ანალიზის ავტომატიზირებული სისტემის შექმნა შესაძლებლობას იძლევა მიღებულ იქნეს სამედიცინო დაწესებულების მუშაობის სრულყოფისათვის ადექვატური მმართველობითი გადაწვეტილება.